თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7436743

ნომერი: AR11084176

თარიღი : 27.03.2025

გაცემის თარიღი : 03.04.2025

გაცნობის თარიღი : 04.04.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ყოფილი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მზეონა ზუმბაძე პ/ნ 01024064988
- თბილისი ტაშკენტის ქ. N 23 ბ. 7

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 28 თებერვლის №7396520 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 27 მარტს №AR11084176 განცხადებით მომართა მზეონა ზუმბაძემ და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 28 თებერვლის

№7396520 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 28 თებერვლის №7396520 ბრძანებით №01.18.06.018.235 საკადასტრო კოდით რეგისტრირებუ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი (ბლოკი №1) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლოის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 28 თებერვლიდან 2029 წლის 28 თებერვლის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
სამსახურის 2025 წლის 14 მარტის №7411462 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 28 თებერვლის №7396520 ბრძანებაში და ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 3809.3 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 3298.7 კვ.მ., კომერციულ ფართობად 1152.7 კვ.მ., დამხმარე ფართობად 1513.5 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 941.4 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად 1925.8 კვ.მ., ხოლო საერთო ფართობად 12971.6 კვ.მ. ასევე, 2. სამსახურის 2025 წლის 28 თებერვლის №7396520 ბრძანებით შეთანხმებული -3-ე, -2-ე, -1-ე, 1-ლი, მე-4, და მე-6 სართული არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდა №AR11080825 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული ამავე ნიშნულების არქიტექტურული გეგმებით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 28 თებერვლის №7396520 ბრძანების (სამსახურის 2025 წლის 14 მარტის №7411462 ბრძანების გათვალისწინებით) ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლებში არასწორად აისახა საერთო ფართობი, შესაბამისად ითხოვს საერთო ფართობად 12971.6 კვ.მ-ის ნაცვლად 12976.2 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საერთო ფართობი შეადარა შეთანხმებულ საერთო ფართობს და დაადგინა, რომ ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების არასწორად დაჯამების შედეგად სამსახურის 2025 წლის 28 თებერვლის №7396520 ბრძანებაში (სამსახურის 2025 წლის 14 მარტის №7411462 ბრძანება) არასწორად აისახა საერთო ფართობი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 28 თებერვლის №7396520 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 28 თებერვლის №7396520 ბრძანებაში და ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობად დაფიქსირდეს 12976.2 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 28 თებერვლის №7396520 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 28 თებერვლის №7396520 და 2025 წლის 14 მარტის №7411462 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.